

პრეს რელიზი

14 აპრილი, 2010

**HSBC მოუწოდებს საქართველოს საუკეთესო ბიზნესებს მიიღონ
მონაწილეობა ევროპულ ბიზნეს დაჯილდოებაში, რადგან
რეგისტრაციის საბოლოო ვადა ახლოვდება**

HSBC მოუწოდებს ბიზნესებს საქართველოში გამოიყენონ ევროპის საუკეთესო ბიზნესად აღიარების შესაძლებლობა და მოახდინონ ქვეყნის ეკონომიკის აღდგენის და განვითარების დემონსტრირება. ეს მოწოდება უკავშირდება ევროპული ბიზნეს დაჯილდოების რეგისტრაციის საბოლოო ვადის მოახლოებას. ეს დაჯილდოება აღიარებს ინოვაციასა და წარმატებას ბიზნესის სფეროში ევროპის მასშტაბით.

მისი არსებობის მეოთხე წელს ევროპული ბიზნეს დაჯილდოება HSBC-ის სპონსორობით აძლევს საშუალებას საქართველოში ნებისმიერ სექტორში მოქმედ ყველა ზომის ბიზნესს წარმოადგინოს თავისი ქვეყანა ევროპის მასშტაბით დაჯილდოების რვა კატეგორიაში.*

ევროპის ყველაზე აღიარებულ ბიზნეს ლიდერების მიერ განხორციელებული ინტერნსიური შეფასების პროცესის შემდეგ, გამარჯვებულები ჯილდოს მიიღებენ 400-ზე მეტი ევროპის საუკეთესო პოლიტიკოსის, ბიზნეს ლიდერის, მეწარმის, ბიზნეს კომენტატორისა და მედიის წინაშე დაჯილდოების ცერემონიაზე პარიზში, ნოემბერში.

HSBC ბანკი საქართველოს გენერალური დირექტორმა, გაი ლუისმა, განაცხადა: “დაბრუნებული ოპტიმიზმით, ბიზნესებისთვის ორი რთული წლის გადალახვის შემდეგ, გვინდა მოუწოდოთ იმ კომპანიებს, რომლებიც, მიუხედავად სირთულეებისა, განვითარდნენ, იარეს ინოვაციის გზით რთულ პერიოდში ან შექმნეს მდგრადი ბიზნესი პოზიტიური შედეგებით. ჩვენ გვჯერა, რომ ახლა არის სწორედ ის

დრო, რომ ვიზიტი და დავაჯოლდოთ ქართული კომპანიების წარმატება და გამძლეობა და გავეუზიაროთ ეს პოტენციურ მომხმარებელს და სხვა ბიზნესებს ევროპის მასშტაბით.”

ადრიან ტრიპპი, ევროპული ბიზნეს დაჯილდოების აღმასრულებელი დირექტორი ამბობს: “ევროპული ბიზნეს დაჯილდოება დაარსდა იმისათვის, რომ აღიაროს წარმატება ბიზნესში და უზრუნველყოს ევროპული ბიზნესის შესაძლებლობების, მიღწევებისა და ინოვაციის წარმოჩენა. ყოველ წელს ჩვენ ვიღებთ წარმოუდგენლად მაღალი დონის განაცხადებს ბიზნესებისგან, რომლებიც ამაყობენ საკუთარი როლით ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ერთი რამ, რასაც ველოდები ამ წელს, არის აღმოვაჩინო ისეთი ბიზნესი, რომელიც ინოვაციური მეთოდების დანერგვის გზით აღწევს წარმატებას. ჩვენ საშუალება გვაქვს ვიმუშაოთ საუკეთესო ბიზნესებთან ევროპის მასშტაბით და წარმოვაჩინოთ ისინი გლობალურად.”

დეივ ვილერმა, წარმოების მენეჯერმა Manchester Rusk-ში, რომელიც გახლავთ 2009 წლის გამარჯვებული გარემოსდაცვითი ცნობიერების კატეგორიაში, განაცხადა: “ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი ძალისხმევა დაფასდა ევროპულ ბიზნესს დაჯილდოებაზე და ძალიან გვეამაყება, რომ მოვიპოვეთ გამარჯვება ევროპის საუკეთესო კომპანიებს შორის. ევროპული ბიზნეს ჯილდოს მოპოვება მნიშვნელოვანი მიღწევაა, რადგან ჩვენ კონკურენციას ვუწევთ ყველაზე პროგრესულ ბიზნესებს ევროპაში და ეს გვეხმარება პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესებაში.”

წარსულში ევროპული ბიზნეს დაჯილდოების შემფასებელთა პანელში შედიოდნენ: ჰოლანდიის ყოფილი პრემიერ მინისტრი, ვიმ კოკი; ბულგარეთის ყოფილი პრეზიდენტი პეტარ სტოიანოვი; და რუმინეთის ყოფილი პრეზიდენტი, ემილ კონსტანტინესკუ. ესპანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრი, ხოსე მარია აზნარი ამბობს: “მე მაქვს საუკეთესო

შესედელება ევროპულ ბიზნეს დაჯილდოებაზე. ეს არის საუკეთესო ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს ისეთი ღირებულებებისა და პრინციპების დანერგვას, როგორცაა თავისუფლება, დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი ბაზარი და ღია საზოგადოება”.

ევროპული ბიზნეს დაჯილდოებით დაინტერესების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: ტელ: +44 (0)20 7234 3535, ელ-ფოსტა:

info@businessawardseurope.com, ან ეწვიეთ: www.businessawardseurope.com

დასასრული

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

მაკა გვრიტიშვილი

ტელ: (995 32) 17 77 48

ელ-ფოსტა: makagvritishvili@hsbc.com

ევროპული ბიზნეს დაჯილდოება 2010:

ევროპული ბიზნეს დაჯილდოება HSBC-ის სპონსორობით არსებობს იმისათვის, რომ გამოავლინოს და დააჯილდოს ევროპის მასშტაბით არსებული კომპანიების წარმატება, საუკეთესო პრაქტიკა და ინოვაცია. მასში მონაწილეობა უფასოა და ის ღიაა ნებისმიერ სექტორში მოღვაწე ყველა ზომის ბიზნესისათვის. ევროპული ბიზნეს დაჯილდოება ემსახურება სამ ძირითად მიზანს ევროპული ბიზნეს საზოგადოებისთვის:

- ის წარმოაჩენს მისაბამ მაგალითებს ბიზნეს საზოგადოებისთვის
- აღიარებს ინდივიდებისა და ორგანიზაციების წარმატებას
- იგი წარმოადგენს ამ განსაკუთრებული ორგანიზაციების წარმატების კონკრეტულ მაგალითებს

***სულ არის რვა კატეგორია:**

- წლის ბიზნეს ჯილდო
- RSM წლის საუკეთესო მეწარმის ჯილდო
- წლის ბიზნეს სიახლის ჯილდო
- წლის ჯილდო HSBC ზრდის სტრატეგია
- ჯილდო მომხმარებელზე ფოკუსირებისათვის
- ჯილდო კორპორატიული მდგრადობისათვის
- ჯილდო გარემოსდაცვითი ცნობიერებისათვის
- ჯილდო წლის საუკეთესო დამსაქმებელი

HSBC Holdings plc

HSBC Holdings plc არის HSBC ჯგუფის დამფუძნებელი კომპანია, მისი სათაო ოფისი მდებარეობს ლონდონში. ჯგუფი გლობალურად მომხმარებელს ემსახურება დაახლოებით 8 000 ოფისიდან მსოფლიოს 88 ქვეყანაში ევროპის, აზიის, ამერიკის და აფრიკის ტერიტორიებზე. ჯგუფის აქტივები 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,364 მილიარდ აშშ დოლარს. HSBC არის მსოფლიოს ერთ-ერთი უმხვილესი საბანკო და საფინანსო ორგანიზაცია.